საკრედიტო საინფორმაციო ბიურო - სს „საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველო-ს“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204470740) მიმართ
დაკისრებული სანქციის (ფულადი ჯარიმა) თაობაზე

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა საკრედიტო საინფორმაციო ბიურო - სს „საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველო-ს“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204470740) (რეგისტრაციის №01-18) „საქართველოს ტერიტორიაზე საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდების, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს ბაზაში ინფორმაციის აღრიცხვის და ხელმისაწვდომობის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 27 აგვისტო №195/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის (შემდგომში -„წესი“) მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის „ე.ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე 1,000 (ერთი ათასი) ლარით დააჯარიმა. აღნიშნული სანქცია (ფულადი ჯარიმა) მოიცავს წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით დადგენილი მოთხოვნის დარღვევის 1 (ერთი) შემთხვევას.